





მოსწავლეებო, პედაგოგებო, სტუდენტებო, მშობლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!
გისურვებთ, ეს წელი ყოფილიყოს წარმატებების მომტანი თითოეული თქვენთაგანისთვის. განსაკუთრებით ვეფერები და ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას პირველკლასელებს, რომლებიც პირველად შეაღებენ სკოლის კარს, აქ მიღებული ცოდნით დაფრთიანდებიან და ჩვენს ქვეყანას ღირსეულ მამულიშვილობას გაუწევენ. წარმატებული და ნაყოფიერი ყოფილიყოს 2019-2020 სასწავლო წელი.

კონსტანტინე შარაშენიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებს, სტუდენტებს, პედაგოგებსა და მშობლებს!
განსაკუთრებული სიყვარულით კი ვულოცავ პირველკლასელებს, რომლებიც ახალ სამყაროში შეაღებენ კარს. განათლება ეს არის ჩვენი ქვეყნის წარმატების გზაზე ყველაზე მთავარი პრიორიტეტი. თითოეულ თქვენგანს გისურვებთ წარმატებულ და მშვიდობიან სასწავლო წელს!

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებს, სტუდენტებს, პედაგოგებს , მშობლებს, განსაკუთრებით კი იმ პატარებს, რომლებიც პირველად შეაღებენ სკოლის კარს და ეზიარებიან ცოდნას.
გისურვებთ წარმატებებს, ნაყოფიერ სასწავლო წელსა და ნათელ მომავალს!

გიორგი ღურჯუმელიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10324) 16 სექტემბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.





მაღაზია «ნეპტუნი» გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.
გთავაზობთ საუკეთესო ნატურალურ პროდუქტებს!
მისამართი. ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15 (რ)


## უქმნის თუ არა საშიშროებას ოზურგეთის მოსახლეობას ბიოლოგიური ნარჩენების სამარხი

ალიონი. ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის შესახვევში (ექადია) 1956 წელს გაიხსნა ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის სადგური და ლაბორატორია, რომლესაც, ბუნებრივია, ბეკარის (დახურული) ორმოც გააჩნდა. აქ, 12 მეტრის სიღრმის ორმოში იმარხებოდა —ბრუცელოზის, პასტერელოზის, ჯილეხის (ციმბირული წყლული) და ლაბორატორიის სხვა საშიშ ნარჩენები.

აღნიშნულმა დაწესებულებამ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე იარსება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ოზურგეთის აგრარული ბაზარი ექადიაზე, მდინარე აჭისწყლის სანაპიროზე გადაიტანეს. ამას ხელს უწყობდა გამართული ტრანსპორტიც, (ტროლეიბუსი, ავტობუსი).

ბაზრის ტერიტორიაზე და მიმდებარედ, ათეულობით ახალი მაღაზია გაიხსნა. ერთ-ერთი —ერთსართულიანი მაღაზია უშუალოდ ბეკარის ორმოს გვერდით დადგეს, რაც იმჟამინდელი ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო.

გასული საუკუნის 90-იან წლებში რამდენჯერმე გაიძარცვა ლაბორატორია, დაზიანდა შენობა და 2008 წელს ამირიკული დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით აქ აშენდა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რომელმაც ადრე არსებული 0,5 ჰექტარი ფართობიდან, მხოლოდ 600 კვადრატული მეტრი ფართობი



შემოღობა. შემოღობის მიღმა დარჩა ბეკარის ორმო.

ექდიის უბანში მდინარის მიმდებარე ტერიტორიები და ჭალა-მინდვრების დიდი ნაწილი ამჟამად კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით.

ჩვენ კონკრეტულად ყოფილი ვეტლაბორატორიის 0,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთების ბედით დავინტერესდით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამჟამინდელი ლაბორატორიიდან დაახლოებით 40 მეტრში მდებარეობს ლუგარის ლაბორატორიის ფილიალი – სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტემენტის გურიის განყოფილება.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ისინი ადგილზე არ ანადგურებენ სამედიცინო ნარჩენებს, არამედ მათი ტრანსპორტირება ხდება შესაბამის ადგილებში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი ლაბორატორიის ამორტიზებული შენობის ეზო (1944 კვადარტული მეტრი) ამჟამად შპს ,,სიდერს“ ეკუთვნის, რომლის წილს თანაბრად 50-50 % ფლობენ ქ. თბილისში მცხოვრებნი რუსუდან ხარგელია (დირექტორი) და ნინო სურგულაძე. ძალიან მნიშვნელოვანია, რა ნაგებობის აშენებას აპირებენ ისინი ბეკარის ორმოს სიახლოვეს, რომ გარემოს და მოსახლეობას


►►► გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100


გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

# მთავრობის მეთაურისა და რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა



რეგიონებში, ჩვენი მოქალაქეებისთვის მთავრობის განსახიერება არის ის ჩინოვნიკი, რომელიც მათ პრობლემებს ან აგვარებს, ან - ვერა და ამ მიმართულებით გუბერნატორების პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სახელმწიფო რწმუნებულებთან შეხვედრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა პრობლემების მოკლე ვადებში მოგვარების აუცილებლობას და გუბერნატორებს დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმის უახლოეს პერიოდში წარმოდგენა დაავალა.

„აუცილებელია, ვიმოქმედოთ სწრაფად, ეფექტიანად და რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა იყოს გამყარებული კეთილსინდისიერი ქმედებით. არავის აქვს იმის რესურსი, რომ კიდევ დიდხანს გველოდოს. ამიტომ, განსაკუთრებით თქვენს შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება. უახლოეს დღეებში უნდა განსაზღვროთ რეგიონებში არსებული სისტემური პრობლემების სტატუსი და წარმოადგინოთ კონკრეტული გაპრობლემებული საქმეები, შემდგომ კი - პირდაპირი, დროში გაწერილი გეგმა და კონკრეტული პასუხისმგებლობები. თქვენი ძირითადი ამოცანაა პრობლემების მოგვარება და არა - პრობლემების შექმნა“, - მიმართა პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორებს.

მთავრობის მეთაურისა და რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

# უქმნის თუ არა საშიშროებას ოზურგეთის მოსახლეობას ბიოლოგიური ნარჩენების სამარხი



პრობლემა არ შეუქმნან.

კიდევ ერთი მესაკუთრე ჰყავს ბეკარის ორმოს სამხრეთ-დასავლეთით 1035 კვ. მეტრ არასასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს. მისი ამჟამინდელი მფლობელი კობა სირაძეა.

მიმდებარე ტერიტორიაზე 500 კვადრატულ მეტრ ფართობს ფლობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო დანარჩენი ტერიტორია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა.

–ბეკარის ორმო, რომელიც ექადიის ტერიტორიაზე 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან არსებობდა,დაახლოებით 30 წლის წინ დაიხურა. იქ ინახება ბრუცელოზის, პასტერელოზის, თურქულის, ცოფის და სხვა ლაბორატორიული საშიში ნარჩენები.

სავარაუდოდ აქ შეიძლება იყოს ჯილეხის (ციმბირული წყლულის) ნარჩენებიც, რომლებიც დამარხულ მდგომარეობაში საუკუნეზე მეტს ძლებს. აქ ექსკავატორით და სხვა ტექნიკის გამოყენებით სამუშაოების შესრულებამ შეიძ-ლება გამოიწვიოს ნიადაგობრივი ინფექცია, დაზიანებული სამარხიდან ვირუსები გამოყვეს წყალს, გაიფანტოს და დაავადოს პირუტყვი და შემდეგ ადამიანიც. ციმბირული წყლული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პათოგენია.

ამ თემაზე მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელმაც შესაბამისი წერილობით მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. არსებული მდგომარეობა ნახა ამ დარგის ერთ-ერთმა აღიარებულმა სპეციალისტმა თენგიზ ყურაშვილმა. გაკეთდა გარკვეული მონახაზი – ტერიტორია უნდა შემოიღობოს, – გვითხრა ლაბორატორიის უფროსმა **ზურაბ ფხალაძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ამირან გირკელიძე** მიიჩნევს, რომ სპეციალისტების რეკომენდაციის შესაბამისად ბეკარის ორმოების მიმდებარე ტერიტორიაზე დაუშვებელია რაიმე სახის მიწის სამუშაოების ჩატარება. ტერიტორია უნდა შემოიღობოს და ღობეზე განთავსდეს შესაბამისი წარწერები.

გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართ-ვის სამსახურის უფროსს **ალეკო მამეიშვილს** ესაუბრა.

– საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის წერილში დასმული საკითხებიდან გამომდინარე, აუ-ცილებელ საჭიროებად მივიჩნიეთ ბეკარის ორმოების, როგორც ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის შემოწმება ნიადაგში ვირუსების შესაძლო გავრცელებაზე და აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. მცდელობის მიუხედავად ვერ მოვიძიეთ დაწესებულება, რომელსაც ამ მომსახურების გაწევა შეუძ-ლია.

აქ ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცდილი სპეციალისტი თენგიზ ყურაშვილი და სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები. მათი დასკვნით ბეკარის ორმოდან ნარჩენების გაჟონვა-დაზიანების საშიშროება არ არის.

ბეკარის ორმოს მიმდებარედ შემოიღობება დაახლოებით 2 000 კვარდატული მეტრი ფართობი და დაიდგმება შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერები –გვითხრა ალეკო მამეშვილმა.

# შეხვედრა იტალიის ქრისტიან მუშაკთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან



გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული, **ზურაბ ნასარაია,** იტალიის ქრისტიან მუშაკთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ორგანიზაცია „აკლი“- ს ბარი-ბათის პატრონაჟის პრეზიდენტ, **ვინჩენცო ლიპოლისს** და ვიცე-პრეზიდენტ **კარმინე ლიუსის** შეხვდა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა, რეგიონში ტურისტული და სოციალური სფეროს მიმართულებით პრიორიტეტული საკითხები განიხილეს. ასევე, ისაუბრეს ოზურგეთის პროფესიული კოლეჯ „ჰორიზონტში“ სხვადასხვა კუთხით სპეციალისტების მოწვევის საკითხზე.

მხარეებმა ურთიერთთანამშ-რომლობის სამომავლო გეგმებიც დასახეს.

# ოზურგეთში, ადგილობრივი მოსახლეობა 24 საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი



მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოებს, გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული **ზურაბ ნასარაია,** გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, გურიის რეგიონული ფილიალის დირექტორ, **დავით ცერცვაძესთან** ერთად ადგილზე გაეცნო.

ამ დროისთვის სამუშაოები დასრულებულია იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე. ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს სიორიძისა და კოსტავას ქუჩებზე. კოსტავას ქუჩაზე ათეული წლებია, რაც წყალარინების სისტემა არ არსებობდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, წყალარინების სისტემით სარგებლობას შეძლებს, როგორც კოსტავას, ასევე, ლერმონტოვის ქუჩის მცხოვრებლები. პროექტის ღირებულება 640 000 ლარს შეადგენს.

ანასეულში წყლის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, მოსახლეობას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება.

პროექტი ითვალისწინებს, ახალი სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილების, სატუმბი სადგურისა და ქსელის მოწყობას, ასევე 700-მდე ოჯახის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. სამშენებლო სამუშაოები 2020 წლის შემოდგომაზე დასრულდება. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7, 500,000 ლარი მოხმარდება.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 16 სექტემბერი<br>ორშაბათი | 17 სექტემბერი<br>სამშაბათი | 18 სექტემბერი<br>ოთხშაბათი | 19 სექტემბერი<br>ხუთშაბათი | 20 სექტემბერი<br>პარასკევი | 21 სექტემბერი<br>შაბათი | 22 სექტემბერი<br>კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცირე წვიმა +15+21 | მზე, ღრუბელი +14+21 | მზე, +14+25 | მზე, +16+26 | მზე, +12+19 | მცირე წვიმა +9+18 | მცირე წვიმა +10+16 |

# დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში 681-მა პირველკლასელმა შეაბიჯა

## დაბა ლაითურსა და სოფელ ძიმითში სრულიად რეაბილიტირებულ სკოლის შენობებში შეუდგნენ სწავლასა და სწავლებას





ძვირფასო ბავშვებო, მშობლებო, პედაგოგებო, დღეს 16 სექტემბერია. გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 42 საჯარო და 2 სასულიერო სასწავლებელში დაიწყო სასწავლო პროცესი სასკოლო მერხებს პირველად მიუსხდა 681 პირველკლასელი, რომელთაც გადაეცათ ბუკები.

დამამთავრებელ ფაზაშია მოსწა-ვლეთათვის სახელმძღვანელოების გადაცემა,

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით, 20 სკოლაში მთავრდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ძირითადი მიმართ-ულებებია სველი წერილების მოწესრიგება, სპორტული დარბაზების მოწყობა, სახურავისა და კარ-ფანჯრების რეაბილიტაცია.

განსაკუთრებულია წლევანდელი სასწავლო წელი დაბა ლაითურისა და ძიმითის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, ისინი სრულიად რეაბილიტირებულ შენობაში შეუდგნენ სწავლასა და სწავლებას.

მასშტაბური სარეაბილიტაციო პროცესი გრძელდება ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პედაგოგებისათვის სტატუსის მინიჭების პროცესი. ცნობილია, რომ არაერთ ოზურგეთელ პედაგოგს მიენიჭა წამყვანი და უფროსი მასწავლებლის სტატუსები. დიდი ალბათობით, ამ მასწავლებელთა ჩამო-ნათვალი ოზურგეთში კიდევ უფრო გაიზრდება.

რესურცენტრის ინფორმაციით, ახალი სასწავლო წელი ყველა სკოლაში შეუფერხებლად დაიწყო.

# ტენდერების გამოცხადებაში, პედაგოგთა გადამზადებაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და სენსორული ბილიკების მოწყობაში გატარებული ზაფხული



***როგორ ხვდება ახალ სასწავლო აღმზრდელობით პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები – ამ საკითხზე სკოლამდელი აღზრდის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაკა ჭყონიას ვეს-აუბრეთ, რომელსაც, როგორც ცნობილი გახდა, ამ დღეებში უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა.***

**– ქალბატონო მაკა, პირველ რიგში, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მონიჭებას გილოცავთ?**

– მადლობთ. ვერ დავმალავ, ძალიან გამიხარდა.

**– ახლა, თქვენი ნებართვით, ძირითად საკითხზე გადავიდეთ, როგორ შეხვდა თქვენი ცენტრის საბავშვო ბაღები ახალი სასწავლო აღმზრდელობით წელს?**

– მთელი ზაფხულის მანძილზე ვმუშაობდით, რომ არ გვქონოდა რაიმე შეფერხება. ჩავარდა რამდენიმე ტენდერი, ერთი-ორჯერ მოხდა გამარჯვებულის დისკვალიფიცირებაც, მაგრამ ყველაფერი წარიმართა ისე, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისთვის ხელი არ შეგვეშალა, როგორც დავგეგმეთ, ისე ვიწყებთ.

**– და რა იყო იმ რამდენიმე ტენდერის ჩავარდნის მიზეზი?**

– ალბათ, პროდუქტების გაძვირება, მიუხედავად იმისა, რომ მოკვლეული ფასების მიხედვით გამოვაცხადეთ ტენდერები. ხდება ასე, ზოგი ტენდერი შეიძლება ჩავარდეს.

**– ანუ დღეს, 16 სექტემბერს სასწავლო პროცესი თქვენდამი დაქვემდებარებულ ყველა საბავშვო ბაღში დაიწყო?**

– მხოლოდ ნასაკირალის, გურიანთისა და შრომა-2-ის ბაღებში დავიწყებთ ცოტა მოგვიანებით, სავარაუდოდ, ერთ კვირაში, როცა ამ ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დამთავრდება.

**– დვაბზუს ნასაკირალის ახალ ბაღშიც დაიწყო სასწავლო პროცესი?**

– არა, დვაბზუს ნასაკირალის ბაღის გახსნას მალე ვაპირებთ. მშენებლობა უკვე დასრულებულია, ინვენტარით, ჭურჭლეულითა და შესაბამისი დანადგარების შესაძენად და შესატანად დაგვჭირდება გარკვეული დრო.

**– რამდენი აღსაზრდელია რეგისტრირებული სადღეისოდ თქვენს საბავშვო ბაღებში?**

– 2702 ბავშვია, აქედან 800-მდე წლეულს მივიღეთ,

**– შარშანდელზე გაცილებით ნაკლები, ჰო?**

– არა, თითქმის იმდენივე.

**– ჯგუფებში დატვირთვა როგორია?**

– წლეულს ქალაქის ცენტრალურ ბაღებში შედარებით ნაკლებად დატვირთული ჯგუფები გვყავს. მოგეხსენებათ, 2020 წლიდან ძალაში შედის კანონი ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. ცოტა რთულია ზუსტად განსაზღვრო რაოდენობა, ვცდილობთ, ნელ-ნელა დავუახლოვდეთ ზღვრულ რაოდენობას, ამ შემთხვევაში ვსარგებლობთ იმით, რომ რეალურად ნაკლები ცხადდება, ვიდრე დარეგისტრირებული არიან.

**– ვიცი, რომ პედაგოგთა გადამზადება მიმდინარეობდა. სრულად დამთავრდა ეს პროცესი?**

– ძირითადად ივლისსა და აგვისტოში გადამზადდნენ. ეს პროცესი ეტაპობრივად 23, 24, 25 სექტემბერსაც გაგრძელდება, ბევრნი არიან და იმიტომ. მზადდება აღმზრდელები, ფსიქოლოგები, სპეცმასწავლებლები, განსაკუთრებული საჭიროების პედაგოგები. ოთხდღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ, მაგალითად, პირველი ცვლის აღმზრდელებს, ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო მზაობის სტანდარტი და ძალიან გართულებულია ამ კუთხით მუშაობა, ანუ გაცილებით მეტი მოეთხოვებათ. იმ აღმზრდელებს, ვისაც უწევთ ამ ასაკობრივ ჯგუფში მუშაობა.

**– ახალი პედაგოგები გყავთ?**

– არ გვყავს ახალი პედაგოგები. პირობითად ვთქვათ, თუ რამდენიმე წავიდა, ყოველთვის ვცდილობთ, ისინი საბავშვო ბაღში ნამუშევარი, გამოცდილი კადრებით ჩავანაცვლოთ, კონკრეტულ საპასუხისმგებლო პოზიციაზე შიგნით ჩანაცვლება გავაკეთოთ. მაგალითად, თუ პირველი ცვლის აღმზრდელი წავიდა, მეორე ცვლის აღმზრდელი, უფრო გამოცდილი გადმოვიყვანოთ, თუ მეორე ცვლის ვაკანსიაა, ამ შტატზე დამხმარე აღმზრდელები გადმოვიყვანოთ, რომლებსაც ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

**– ფსიქოლოგები, მედდები და სპეც-მასწავლებლები თუ გყავთ ყველა ბაღში?**

– ფსიქოლოგი ყველა ბაღში არ გვყავს, 43 ბაღიდან შეიძლება გვყავს, ვთქვათ 5 ბაღში. ზოგადად, ფსიქოლოგებით განებივრებული არ ვართ ქვეყანაში. შევეცადეთ მრავალკონტიგენტიან ბაღებში გვყოლოდა. რაც შეეხება განსაკუთრებული საჭიროების სპეციალისტებს, ამ ეტაპზე 43-დან 16 ბაღში გვყავს ისინი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბაღში არ უნდა გვყავდეს. სადაც დარეგისტრირდება ბავშვი, რომელიც საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მიდგომას, ვთქვათ არის შშმ პირი, ჩვენ შევარჩევთ შესაბამის სპეციალისტს, რომელიც გადის გადამზადებას. ერთი გადამზადება უკვე მოვახერხეთ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პედაგოგების გადამზადებას აუცილებლად დიდი ყურადღება სჭირდება, რთული საკითხია. ბაღებში სულ 16 შშმ პირი გვყავს, მაგრამ არის სხვა კატეგორიების ბავშვებიც, რომლებიც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ, მათ შესაბამისი სპეციალისტები სჭირდებათ. გაჩნდა როგორი საჭიროებისაა ბავშვი, ზოგისთვის, მაგალითად, დილიდან 6 საათამდე ბაღში ყოფნა არ არის რეკომენდებული, სამსაათიანი პროგრამა არსებობს ასეთი საჭიროების ბავშვებისთვის. ყოველივე ამას ვუხსნით მშობლებს და ამ გზით ვწყვეტთ პრობლემას.

**– რამდენად გაუმჯობესდა საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?**

– რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სამი-ოთხი თვის წინ შევიძინეთ 80 ათასამდე ლარის ღირებულების ინვენტარი: მაგიდები, სკამები, საწოლები, ჭურჭელი. ახლა დამატებით გამოცხადებული გვაქვს ტენდერი დვაბზუს ნასაკირალის ახალი ბაღისთვის აუცილებელი ინვენტარის შესაძენად. რამდენიმე ბაღში დასამატებელია მაცივრები, გამწოვები, შესაცვლელია გაზქურები.

**– რამდენად უზრუნველყოფილი იქნებიან ბაღები სასმელი და ტექნიკური წყლით?**

– რამდენიმე სოფლის ბაღში არის წყლის პრობლემა. სასმელი წყლით ჩვენ უზრუნველვყოფთ აბსოლუტურად ყველა ბაღს როგორც ქალაქად, ისე სოფლად. გამორიცხული არ არის, რომ ბაღებში არსებული ტექნიკური წყალი გამოუსადეგარი იყოს, ამიტომ, სტანდარტების შესაბამისად, წელიწადში ორჯერ ტარდება მისი ლაბორატორიული ანალიზი. ახალი სეზონის წინ ტენდერებში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უკვე სინჯები და უკვე მიღებულია ცნობები წყლის ვარგისიანობის შესახებ.

**– ყველაზე დიდ პრობლემად რა გესახებათ თქვენს საბავშვო ბაღებში?**

– არის რამდენიმე საბავშვო ბაღი, რომლის შენობა ამორტიზებულია, რამდენიმეს კი საკუთარი შენობაც არ გააჩნია. სოფელ შრომაში, ვაკეში (არის ასეთი უბანი ამ სოფელში) არსებული ბაღი ფუნქციონირებს ნაქირავებ სახლში, სადაც შეუსაბამო პირობებია. მაქსიმალურად შევეცადეთ მოგვეწესრიგებინა მისი სველი წერტილები. აქ აუცილებელია ახალი ბაღის აშენება. გვაქვს, ასევე ერთი ბაღი ქალაქში, კოსტავას ქუჩაზე, ნაქირავებ, კერძო სახლში, რომლის ფართი არაა საკმარისი აქ არსებულ ბავშვთა კონტიგენტისათვის. სამომავლოდ ჩვენ ვფიქრობთ ამაზე, შესაძლებელია, მესამე სკოლაში გამოიყოს ფართი, ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და მასში განთავსდეს ერთი ან ორჯგუფიანი ბაღი. რაც შეეხება სოფელ მერიის საბავშვო ბაღს, იგი სოფლის ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. ბაღი ერთჯგუფიანია, მაშინ, როდესაც სოფელში ბავშვთა კონტიგენტი აშკარად მეტია.

ჩვენ ეს ინფორმაციები მივაწოდეთ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს და, როგორც ვიცი, ეტაპობრივად იგეგმება ახალი ბაღების მშენებლობები. ასევე ეტაპობრივად მოხდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები რამდენიმე საბავშვო ბაღში.

**– და ბოლო შეკითხვა, ბაღებში სენსორული ბილიკების მოწყობაზე უნდა გკითხოთ, პოლონეთიდან ჩამოტანილ პროექტზე?**

– სხვათა შორის, სწორედ თქვენს გაზეთთან ინტერვიუში ვთქვი, რომ პოლონეთში ყოფნის დროს, ძალიან ბევრი საინტერესო რამ ვნახე და მათგან რაღა-ცეების დანერგვა გადავწყვიტე, ერთ-ერთი იყო სენსორული ბილიკების მოწყობა. ზაფხულში ჩავატარეთ თათბირი მენეჯერე-ბთან და კონკურსი გამოვაცხადეთ. ეს არის ძალიან საინტერესო პროექტი საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის, მათი მრავა-ლმხრივი განვითარებისთვის. ამ პროცესში უკვე ჩართული არიან საბავშვო ბაღები, აქტიურობენ მშობლებიც. რამდენიმე ბაღში უკვე დასრულებულია სამუშაოები. სენსორული ბილიკები 43-ვე ბაღში უნდა მოეწყოს.

**– ქალბატონო მაკა, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისა და სიახლეების გაცნობისთვის.**

დიდი მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს, რომ ჩვენი საქმიანობით დაინტერესდით.

ესაუბრა

**თემურ მარშანიშვილი**

# ოზურგეთელ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები



**ლავრენტი ბიგვავა**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე



**ეროდი გორდელაძე**
საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე



**გოჩა კილაძე**
საკრებულოს აგრარულ საკით ხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე



**ბახვა დოლიძე**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე



**გია ჩაგანავა**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



**გენო ჩავლეიშვილი**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე



**დავით ჭაკნელიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების“ თავმჯდომარე



**ალექსანდრე ღლონტი**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. მერია

ახალი სასწავლო წლის დაწყების ეს დღე ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან მეორეკლასელ ლიკასთან ერთად დღეს, პირველად შეაღებს სკოლის კარებს უმცროსი ქალიშვილი –ნინი მამეშვილი.
ვულოცავ ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლისა და მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის პირველკლასელებს, უფროსკლასელებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას.



**ალეკო მამეშვილი,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ახალ სასწავლო წელს ახალი იმედები და ახალი რეალობა მოეტანოს ოზურგეთელი მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, სტუდენტებისთვის, ზოგადად ქვეყნისთვის, თითოეული ჩვენგანის ოჯახისთვის. გილოცავთ!



**თენგიზ ქუტიძე**
ოზურგეთის სერვისცენტრის ხელმძღვანელი







# ოზურგეთელ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები



ვასილ ჩიგოგიძე
საკრებულოს დეპუტატი.
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი



თამაზ ტულუში
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. ნატანები



პაატა კილურაძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. ბაილეთი



ლადო ჩავლეშვილი.
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. მთისპირი



გოჩა მდინარაძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
დაბა ურეკი



გიორგი თოიძე
საკრებულოს მაჟორიტარი
დეპუტატი სოფ. ლიხაური



თამაზ ბურჭულაძე
საკრებულოს მაჟორიტარი
დეპუტატი სოფ. შემოქმედი



ვალოდია ბერიძე
საკრებულოს მაჟორიტარი
დეპუტატი დაბა ნარუჯა


## აფთიაქი „სალბი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



მის: აპ. წულაძის ქ. №11





## „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!


## იუბილე

# “გუალე, ვიდოდე მშვიდობით“...



„ერის ადამიანის ცხოვრებაში გამორჩ-ეული, დაუვიწყარი დღეები, რომელიც ერთგვარ შეჯ-ამებას ახდენს განვლილ წლებისას, ცხოვრე-ბისას.“ ერთ–ერთი ასეთი დღე ახლა დგას შენს ცხოვრებაში, ჩვენო ძვირფასო მეგობარო ნანი. ეს დღე შენი საიუბილეო დაბადების დღის თარიღია, რომელსაც დიდი პატივისცემით და სიყვარულით მოგილოცავთ შენი მეგობრები.

მართლაც, რა უხვად და სწრაფად გასულა წლები, მაგრამ დახეთ...წლებმა ვერაფერი დააკ-ლო შენს სილამაზეს, შენს გონიერებას, შენს ღვწას, ემსახურო ქვეყანას. დგახარ ატმის ხესავით აბრდღვიალებული ღვთიური ღიმილით, მართალი გამოხედვით უამრავ თაობათა აღმზ-რდელი, უჩინებულესი მასწავლებელი, აღსაზრ-დელთა, აღზრდილთა, მშობელთა, კოლეგათა სიყვარულით შემოსილი, ერთგული და სანდო მეგობარი, ორი ვაჟკაცის დედა, ქართული ოჯახის დიასახლისი, საუკეთესო მოქალაქე.ერთი პოეტის თქმით:

„შენ უნდა იყო ცაში ნისლივით,
გვირგვინად გედგას ატმის ფანტელი...
შენ უნდა შეგრჩეს ფერი ისრიმის
შენ უნდა იყო ლოცვის სანთელი.
ამ აურაცხელ სხივთა გიზგიზში
შენ უნდა გახდე ველის ქურციკი,
შენ უნდა იყო წყაროს კისკისი
გაბრუებული თოვლის მუსიკით.“

ნანი, საყვარელო ნანიკო, გვეამაყები და გვიყვარხარ. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს. “ გუალე, ვიდოდე მშვიდობით.“

შენი **უახლოესი მეგობრები**

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# ნაშრომი განძად დარჩების...



ამ სიტყვებს აწერდნენ წიგნებს ის საეკლესიო მოღვაწენი და ბერები ,რომლებიც მონასტრის კელიებში, ცხოვრობდნენ, წყლითა და პურით იკვებებოდნენ, წერდნენ და გადაწერდნენ სასულიერო ხასიათის წიგნებსა და უძველეს ხელნაწერებს და, როგორც აღვნიშნეთ, ხელს არ აწერდნენ, აწერდნენ მხოლოდ :“ნაშრომი განძად დაშთების...“ ასე მოაღწია ჩვენამდე გურიის უძველესმა ხელნაწერებმა, როგორიცაა:“ უდაბნოს მრავალთავი“,,,ლიხაურის სახარება“,,,შემოქმედის გულანი“,,ციხის გულანი“, ,,ერკეთის გულანი“,თეთროსნის დავითნი“. ეს უკანასკნელი სხვა სამუზეუმო განძეულობასთან ერთად 1921 წელს გატანილ იქნა საზღვარგარეთ და 1945 წელს დაუბრუნდა საქართველოს.

XV საუკუნეში, ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, გურიის ერისმთავრებმა ახალი საეპისკოპოსოები დაარსეს და ქუთათელის დაქვემდებარებიდან გამოვიდნენ.

გურიის საეპისკოპოსოები, დღიდან დაარსებისა, დიდ პოლიტიკურ და კულტურულ მისიას ასრულებდა. გურიის ეკლესია-მონასტრებში მიმდინარეობდა სასულიერო ლიტერატურის გადაწერა-გადამრავლება, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო სასულიერო პირები, არამედ გურიის მთავრები და თავადები.ხელნაწერები ინახებოდა ეკლესია-მონასტრებში არსებულ წიგნთსაცავებში. ხელნაწერი წიგნები ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას ისახავდა მიზნად და მათ გადაწერასა და მოვლა-პატრონობაზე მონასტრის ბერები ზრუნავდნენ.

1453 წელს ბიზანტიის, 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალები უშუალოდ გაუმეზობლდნენ გურიის სამთავროს და სამცხე-საათ-აბაგოს. თურქებმა თანდათან დაიკავეს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები, მათ შორის ქვემო გურიაც. გურიაში თანდათან თავს იყრიდა ოსმალეთისაგან მიტაცებული ტერიტორიებიდან გადმოტანილი საეკლესიო განძეულობა, მათ შორის იყო ძველი ქართული ხელნაწერები,საეკლესიო წიგნები. აღნიშნული ხელნაწერების თავგადასავალი აღწერი-ლი აქვთ: ზურაბ ჭუმბურიძეს თავის ნაშრომში ,,ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, თეა ქართველიშვილს წიგნში: ,,გურიის საეპისკოსოები“. უნდა აღინიშნოს დიმიტრი ბაქრაძის შეუფასებელი ღვაწლი, რომელმაც ბევრი მასალა შეაგროვა ქართული ისტორიოგრაფიისა და განსაკუთრებით გურიის ისტორიის შესწავლისათვის. დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს მოიარა აჭარა-გურია. მოიხილა ისტორიული ძეგლები, ,ტაძრები, შეაგროვა საერო და სას-ულიერო ძეგლები, სიგელ-გუჯრები, აღწერა იმ დროისათვის შემორჩენილი ხატები. მკლევარის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია მთელი რიგი ძეგლები (ქაქუთი, ჭანიეთი, აჭი, ლეხოური, ზარზმა, შემოქმედი, გამოჩინებული, უდაბნო, ასკანა, ჯუმათი, ბუკისციხე, ვაშნარი და მრავალი სხვა.). ბევრი ძეგლი დროთა ვითარებაში დაინგრა ან დაანგრიეს, ბევრი ხატი და ხელნაწერი დაიკარგა. რომ არა დიმიტრი ბაქრაძე, ბევრი მათგანის არსებობის შესახებ წარმოდგენა არ გვექნებოდა, დასაფასებელია თეა ქართველ-იშვილის შრომა: ,,გურიის საეპისკოპოსოები (გამოიცა 2006 წ.),რომელშიც დაწვრილებითაა განხილული გურიის საეპისკოპოსოები.

გურიის ეკლესია-მონასტრებში აქტიურად მუშაობდნენ კალიგრაფები, ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გადამრავლება თუ ახლის შექმნა, გურიის საკათედრო ტაძრებში იყო გადამწერთა ჯგუფი,რომელიც ,,თაბუნის“ (ერთი პროფესიის ხალხი) სახელწოდებით მოიხსენიება.

გადამწერთა მიერ იქმნებოდა პრაქტიკული დანიშნულების საეკლესიო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია ღვთის მსახურების დროს. ამ მხრივ საინტერესოა ორიგინალური ქართული კომპოზიცია ,,გულანი“, (საღვთისმსახურო წიგნების კრებული), რომელიც სხვა ეკლესიებს არ გააჩნია. არსებობდა გულანის შემოკლებული რედაქცია, რომელსაც ,,ჟამგულანი“ ეწოდება. აღნიშნული ხელნაწერები მხოლოდ მდიდარ ეკლესიაში იყო .შემორჩენილია ციხის, ერკეთის,შემოქმედის გულანები. ასევე გიორგი II გურიელისა და გიორგი III გურიელის დაკვეთით შესრულებული (XVIII ს.) გულანები. არსებობდა ჯუმათის გულანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. შემოქმედში, სხვა წიგნებთან ერთად, ყოფილა ძვირფასი თვალმარგალიტით შემკული სახარება. თუ როდის დაიკარგა იგი, არავინ იცის.

ჯერ კიდევ სამასზე მეტი წლის წი-ნათ იტალიელი მისიონერი ბერი პატრი ქრისტიფორე დე კასტელი ( 7 წელი დაჰყო გურიაში) წერდა: ,,გურულებს წიგნი ბევრი აქვთ, მაგრამ ყველა ხელნაწერის სახით, რომელთა შორის არის საღმრთო წიგნები, უძ-ელესი კანონები, სარაინდო ზღაპრები და პოეზიის წიგნები“.

,,გვიან შუასაუკუნეებში ოზურგეთი გურიის ადმინისტრაციულ,პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო კე-რას წარმოადგენდა. გურიელის სასახლეში ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ამზადებდნენ ახალ ნუსხებს. ცნობილია: ,,დავი-თნის“, ,,თუენის“ და სხვა ოზურგეთული ნუსხები “(იური სიხარულიძე ,,მეგზური“, თბ. 2005 წელი გვ. 18).

### შემოქმედის გულანი

1820 წელს (ცნობილი აჯანყების დროს) რუსებმა გაანადგურეს შემოქმედის წიგნთსაცავი. თუმცა, აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ასეთი სიმდიდრის არსებობაზე.

შემოქმედის წიგნთსაცავიდან გადარჩა ,,გულანი“,,ფუტკარი“,,ზატიკი“.

გულანი ყველა საეკლესიო წიგნს მოიცავდა. რაც კი მორწმუნეს სჭირდებოდა და რაც წლის ყველა დროს იკითხებოდა (სახარება, სამოციქულოები, მარხვანი, ჟამნი, ტიპიკონი, წმინდანთა ცხოვრება), ასევე იკითხებოდა დიდ დღესასწაულებზე. შემოქმედი გურიის მთავარი საეპისკოპოსო ცენტრი გახლდათ და მის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ გურიის მთავრები. 1873 წელს დიმიტრი ბაქრაძ-ემ მოინახულა და აღწერა შემოქმედის გულანი, 1004 ძალზე სქელ ქაღალდის ფურცელს შეიცავდა და ზუსტად ორ ფუთს (32 კგ) იწონიდა. შემოქმედის გულანმა ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია, თავბოლო ნაკლული,ა აკლია შიგა გვერდებიც, სულ 875 ფურცელია. დღეს შემოქმედის გულანი კოლექცია ( -103) ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. შემოქმედის გულანი მამია IV გურიელის (1726 წლიდან დროგამოშვებით 1776 წლამდე) და მისი მეუღლე დედოფალ როდამის დაკვეთით გადაიწერა. მის გადამწერთა შორის იხსენიებიან: მთავარდიაკონი იოანე, მღვდელი ათანასე ქავჟარაძე, მღვდელი საბა და იოსებ ტუსკია და მონ-ცვლეობის მიხედვით, ალბათ, მრავალ კალიგრაფს მოუწევდა მუშაობა. შემოქმედის გულანი წარმოადგენს წარსულის მნიშვნელოვან წყაროსაც. იგი შეიცავს კინკლოსს, ანუ საპასექო ციკლს - აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მოძრავი საეკლესიო დღესასწავლების დასაანგარიშებელ ციფრულ ციკლს. ციკლის თითოეული სტრიქონი ერთ წელს შეეფერება. სტრიქონები ოთხეულადაა დაყოფილი. ნაკიანი წლების მიხედვით კინკლოსის ცხრილის მარცხენა ან მარჯვენა არშიაზე მითითებულია ქორონიკონის თარიღი, კინკლოსის წლებს შორის დაცულია ისტორიული ამბების ნუსხა .ეს მინაწერები მოიცავს ორსაუკუნოვან პერიოდს და მოგვით-ხრობს XVI საუკუნის დამდეგიდან,ვიდრე XVIII საუკუნის მიწურულამდე. სპეციალისტების აზრით, შემოქმედის გულანის კიკლოსი იმითაცაა მნიშვნელოვანი,რომ ყველა მისი მინაწერი სრულყოფილად არის შევსებული. გულანის სახელით საქართველოში ცნობილია მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წლის ყველა დღისა და დღესასწაულისათვის დადგენილი საეკლესიო საკითხავებისა და ლოცვების კრებული. დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს: ,,ყველა გულანი, რომელიც კი მე მინახავს, ნუსხახუცურით ნაწერი უზარმაზარი ფოლიანტებია. თვით გურიაში სამი გულანი ვნახე: ციხეში, რომელიც გურიანთაში მდებარეობს,ერკეთსა და შემოქმედში. ერკეთის გულანი გადაწერილია XVII საუკუნის დამდეგს, კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძის დროს,ხოლო ციხისა და შემოქმედისა,რომელთა დედანსაც პირველი წარმოადგენდა, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თითოეულ მათგანში არის სრული საპასექო ციკლი, სხვანაირად ქორონიკონი. კვინკლოსი გაყოფილია ოთხ გრაფად,პირველში აღნიშნულია დიდმარხვის პირველი დღე , მეორეში ებრაული პასექი, მესამეში ქრისტიანული აღდგომა, მეოთხეში ზედ ნადები, სამწ-უხაროდ, ერკეთისა და ციხის გულანებში კვინკლოსიდან, მხოლოდ რამდენიმე ფურცელიღაა შემორჩენილი და ისიც პირველი გვერდები... ერთგან ციხის გულანში,რომელიც, როგორც ჩანს, იმათვე გადაუწერიათ, ვისაც შემოქმედის გულანი, მღვდელი საბა ამბობს: ,,მე და ჩემმა თაბუნმა“ ამ გულანზე 18 წელი ვიმუშავეთ“. გულანი დამთავრებულია 1749 წელს. საქმიდ დამახასიათებელია შემოქმედის გულანის ზოგი მინაწერი. ორგან მამია გურიელი საკუთარი ხელით წერს: ,,ამაზედ მეზვერე და ფარისეველი დახატე“, აქ გარდამოხსნა დახატე“. კიდევ :,,უფალო, მოიხსენე ბატონი გურიელი მამია ორთავე ცხოვრებასა და ამის მწერალი მთავარდიაკვანი იოანე, არსების ხატო. მელანი აკეთე და მე ხელი მომიმართე,ამინ“. შემოქმედის გულანში ყველაზე მნიშვნელოვანი მინაწერია ისტორიული ამბების ნუსხა კვინკლოსის წლებს შორის, რომლებიც მოიცავენ ხანას XVI საუკუნის დამდეგიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე.“ (დ. .ბაქრაძე იქვე გვ.135).

შემოქმედის მონასტრის წიგნსაცავში ინახებოდა ხელნაწერი ,,ფუტკარი“. იგი 560 -გვერდიანია. ,,ფუტკარი“ მონასტერს შესძინა იაკობ შემოქმ-ედელმა.

### ლიხაურის სახარება

ლიხაურის ეკლესიაში ინახებოდა ორი ძველი ქართული ხელნაწერი: ტყავზე დაწერილი XI საუკუნის ოთხთავი და ჟამნი. ლიხაურის სახარება 1890 წელს შეაკაზმინა ტაძრის წინამძღვარმა ნესტორ კონტრიძემ. ოთხთავი დღეისათვის დაზიანებულია და დაშლილია, აკლია გვერდები, ტექსტი ნუსხურია, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ეროვნული ცენტრის კოლ-ექციაში.

ვანისქედის (მთისპირის თემი) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ინახებოდა ძველი საეკლესიო წიგნები: ,,ვრცელი ჟამგულანი“ და ,, მოკლე ჟამგ-ულანი“, გადაუწერია ვინმე ,,ცოდვილ“ გრიგოლ შუბლაძეს. ვრცელ გულანს ახლავს ცალკე ,,ასწლოვანი კვინკლოსი“ და ცალკე ქორონიკონი (1729-1749 წლამ-დე). აღნიშნული ხელნაწერები უნახავს დიმიტრი ბაქრაძეს 1873 წელს. ეკლესია დარბაზული სტილისაა. საშენებლო წარწერით XI-XIII საუკუნეებს განეკუთნება. ტაძარი საფუძვლიანად განაახლეს XVII-XVIII საუკუნეებში.

მეწიეთის მონასტერში დაცულ ხელნაწერთა შორის აღსანიშნავია ,,მარხვანი“. იგი სამცხიდან გურიაში გადმოტანილა და მოხვედრილა მეწიეთში და ცნობილია ,,მეწიეთის მარხვანის“ სახელით. ანდერძიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი პატრონის ქეთეონის ბრძანებით გადაუწერიათ 1566 წელს, ქეთეონი გახლდათ მესხი დიდებულის იოსაფატ ბეჟანიშვილის მეუღლე. სამცხეში გა-დაწერილი ეს მარხვანი გურიაში მოხვედრილა, მოგვიანებით იოანე ცაგარელს ,,მეწიეთის მარხვანი“ შეუწირავს ლაბეჭინის მონასტრისათვის. იოანე უნდა იყოს ხინოწმინდელი, რომელიც ჯუმათის მღდელმთავარი იყო, შემდეგ იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა გამოჩინებულის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა. მოგვიანებით კი, ცაგერის ეპისკოპოსობა უბოძეს ეს ხელნაწერი ხინოწმინდელმა იოანემ გურიიდან იმერეთში გადაიტანა, ხოლო როდესაც ცაგარელად დაადგინეს, შემდეგ შეწირა ლაბეჭინის მონასტერს. საყურა-დღებოა, რომ მეწიეთის წმინდა გიორგის ეკლესიას ეკუთნოდა გიორგი III გურიელის (1664-1683) მიერ შეწირუ-ლი XI საუკუნის მათეს სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტებანი.

ქვემოხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, დაცული იყო საინტერესო ძველი ხელნაწერი ზოდიაქოთა მნიშვნელობის შემცველი წიგ-ნი ,,საეტლო მართალი და ჭეშმარიტი ,, ...ერთ ძველ დაშლილ საეკლესიო წიგნში, რომელიც მცირე კვიკლოს შეიცავდა, წავიკითხე ზოდიაქოს ნიშანთა სახელები, რომელიც იწყება მარტიდან, ქრისტიანობის ძველ ხანაში საქართველოში საერო წელიწადის პირველი თვიდან. იგი ასეა დასათაურებული ,,საერო მართალი და ჭეშმარიტი“ (დ.ბაქრაძე ,,არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში“.1987 წ. გვ.194)

ხევის წმინდა გიორგის ეკლესიაში ინახებოდა მარკოზ მამალაძის მიერ შეწირული სახარება. დიმიტრი ბაქრაძე გადმოქცემს: ხევში მე ორი დაშლილი წიგნი ვნახე, სახელდობრ: სახარება სხვადასხვა ხელით შესრულებული შემდეგი მინაწერებით: ნებითა ღვთისათა ვიგულმოდგინე მე მღვდელმონაზონმან მამალაძემან მარკოზ, ღარიბობით ვიყიდე წმინდაი ესე სახარება და დავდე შენს საყდარში ღმერთო და წმინდაო გიორგი,შენ ეყავ მფარველ ჩემს სულს დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ.“(დ.ბაქრაძე იქვე გვ.189).

გამოჩინებულის ეკლესიაში ინახებოდა სჯულის კანონი. მინაწერში ვკითხ-ულობთ: ,,ქრისტე ღმერთო, ადიდე ორსავე ცხოვრებასა შინა წინამძღვარი ნიკოლოზი ამისა დამწერი“. (დიმიტრი ბაქრაძე, ,,არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“,გვ. 201).

### ერკეთის გულანი

ერკეთის ეკლესია გურულ ერისთავთა მამულს წარმოადგენდა. მისი წინ-ამძღვრები შარვაშიძეები იყვნენ. აქვე დაცული იყო გულანი, რომელიც ერკეთის გულანითაა ცნობილი. გულანი შესრულებულია ნუსხახუცურით, რომლის მინაწერშიც იკითხება: ,,დაიწერა და შემოიწირა ესე გულანი ეპისკოპო-სობისა ცაიშელ მამათა-მთავრის მაქსიმესი“ გულანი გადაწერილია XVII საუკუნის 50-იან წლებში. მინაწერები შემდეგს მოიცავს:

,,დიდება ღმერთსა სრულმყოფელისა ყოვლის კეთილისა სრულ იქმნა წმინდა ესე გულანი დიდისა აფხაზეთის კათალიკოზისა პატრონისა ევთიმე საყვარელიძისათა, აკურთხენ ღმერთმან ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ.

ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე ჩხატარაშვილი ამის მწერალი.

ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი ნათანელ კარგარეთელი. ამის მწერალს ცოდვილს გაბრიელს შეუნდენ ღმერთმან.

ღმერთო, შეიწყალე სულით და ხორცით ფრიად ცოდვილი ამის მწერალი იოანე სვიმონის ძე, ამინ.

ამის შემკრებს ცოდვილს მღვდელმ-ონაზონს მეიერუსალიმეს გრიგოლს შენდობა ჰყოფდეთ და ჩემთა დედათა-მამათვის ზამთარში გავაკეთე და ბევრი ჭირი და სიცივე ვნახე ჩაქვს.

დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს: ,,გულანის“ გადამწერთა შორის აღწერილია ჩხატარაშვილის გვარი. ეს გვარი ახლაც არსებობს ბათუმის სანჯაყში და გურიაში ,თვით სოფელი ჩურუქშშია. აქედან უნდა დავასკვნათ,რომ ერკეთის გულანი გადაწერილია სადღაც იმ ადგილას, რომელიც ხან ათაბარების სამფლობელოში შედიოდა, ხანაც გურიელებისა და აფხაზთა კათალიკოსის იურისდიქციაში.“ (დიმიტრი ბაქრაძე დასახ, ნაშრომი, გვ.182).

აცანის ოქონის მონასტერში დაცული სახარების თანახმად: ,,ქრისტიფორე კობალაძემ მოვჭედე დავდე თქვენსა საყდარსა. მე ვეცადე შენი წყალობა...დავდე სახარება სამოციქულო“.

მელექედურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში ინახებოდა: ოთხთავი, სახარება, სამოციქულო,პარაკლიტონი ,მარხვანი, ზატიკი.

### თეთროსნის დავითნი

თეთროსანი ისტორიული მონასტერი და კულტურული ცენტრი იყო ქვემო გურიაში (ახლანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტი).

თეთროსანი ხინოწმინდის საეპისკოროსოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. იგი თეთრი გიორგის კულტთან დაკავშირებული სახელია. სხვა ვერსიით საქართველოში თეთროსანი (თეთრით შემოსილი) ღვთისმშობლის ერთ-ერთ წოდებულებად იხმარებოდა.

თეთროსანი მწიგრობრულ-კულტურული კერა იყო. იქ გადაიწერა XVI საუკუნის ,,თეთროსნის დავითნი“. მისი გადამწერი ყოფილა გერმანოზ კალიგრაფი. ფსალმუნი ქაიხოსრო გურიელისა და მისი დედის,თამარ დედოფლის დაკვეთით ყოფილა შესრულებული. დედოფალი თამარი იყო ვახტანგ გურიელის მეუღლე,რომელიც 1583-1587 წლებში მთავრობდა გურიაში.

,,დავითნის“ გადამწერია გერმანოზ ქავჟარაძე. ამ გვარიდან მრავალი საეკლესიო და საერო მოღვაწე გამოვიდა. ერთ-ერთი, ათანასე ქავჟარაძე, რომელმაც სხვებთან

გვ-7

# ნაშრომი განძად დარჩების...

ერთად (მთავარდიაკონი იოანე მღვდელი საბა და იოსებ ტუსკიები) 1731-1749 წლებში გადაწერა 1004 გვერდიანი შემოქმედის „გულანი“. ისტორია იცნობს გორგი ქავჟარაძესაც,რომელმაც XVII საუკუნეში გადაწერა მცირე კოდაკი (წირვის) წესები.

„თეთოსნის დავითნი“ 144 ფურცელს შეიცავს (288) შეიცავს. ჩასმულია ხის ტყავგადაკრულ ყდაში, ხელნაწერს აკლია თავფურცელი და იხსნება მშვენიერი მინიატურით. წიგნი მცირე ზომისაა (23 175 სმ.). საწერად გამოყენებულია ქაღალდი და ტექსტი შავი მელნითაა შესრულებული, ნუსხური დამწერლობით, ერთ სვეტად და მრავალი სტრიქონი სინგურით (წითელი მელანი) და სათაო ასოებით არის შემკული.

. „თეთროსნის დავითნი“, სხვა სამუზეუმო განძეულობასთან ერთად, 1921 წელს საზღვარგარეთ გაიტანეს და 1945 წელს საფრანგეთიდან ქართულ საგანძურთან დაუბრუნდა საქართველოს. ამჟამად იგი კორნელი კეკელიძის სახელობის ეროვნულ ფონდში ინახება.

ადიშის ოთხთავი (ერთი პერიოდი ინახებოდა ჯუმათის მონასტერში).

ადიშის ოთხთავი ძველი ქართული ენისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, თარიღიან ოთხავთა შორის უძველესი (89 7წ.), შემკულია მინიატურებით, გადაწერილია კლარჯეთში, შატბერთის ლავრაში. ეს ძვირფასი წიგნი თითქმის შვიდასი წელი შატბერთის მონასტერში ყოფილა დადებული, შემდეგ კი ის იქიდან გადმოუტანია ჯუმათის ყოფილ მამასახლისს ნიკოლაოსს. XV საუკუნის მეორე ნახევარში ნიკოლოზ ჯუმათელმა ოთხთავი ,სხვა ხელნაწერთან ერთად,გადაიტანა ჯუმათში. XVI საუკუნეში ხელნაწერი გადაიტანეს ზემო სვანეთში - სოფელ ადიშში. ამჟამად ინახება სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ადიშის ოთხთავი შექმნილია,როგორც ანდერძიდან ჩანს, 897 წელს, გამოჩენილი შატბერთელი მოღვაწისა და მონასტრის მესვეურის სოფრონის შეკვეთით. წიგნის გადამწერია მიქაელი, ყდაში ჩასმულ ხელნაწერს შესანიშნავი მხატვრობა ამშვენებს. გადამწერ მიქაელის ანდერძის ქვემოთ, ნიკოლაოზ ჯუმათელი გვაუწყებს: „მე ნიკოლაოს ოდესმე ჯუმათისა მამასახლის-ყოფილმან, ულირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა (აშენენინ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი!) შევიარენ და შევკრიბენ წმინდანი ესე წიგნნი: ხელკანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგება, უმეტესად ალაშენენ ღმერთმან შატბერდი, ესე ოთხთავი და ხელთკანონი,მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაი, უმეტესად მამათა -წიგნი მათსა ეკლესიასა“...ანდერძის ბოლო არ იკითხება და ჩვენ არ ვიცით თუ სად მიუჩინა ახალი ბინა ნიკოლაოს ჯუმათელ მამის მიერ შეძენილ-შეკრებილ წიგნებს, კერძოდ-სახარებას.საფიქრებელია ,რომ ეს წიგნები ნიკოლაოსს უნდა მიეტანა ,გურიაში, სახელდობრ, ჯუმათის მონასტერში,რომლის წინამძღვარიც ის ერთ დროს ყოფილა.“ (ზურაბ ჭუმბურიძე, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, თბ. 1983 წ. გვ. 116-117).

აკადემიკოს ელენე მეტრეველის ვარაუდით, ნიკოლაოზ ჯუმათელი 1064 წელს ალფ-არსლანის მიერ ახალქალაქის დარბევის შემდეგ, ჩავიდა კლარჯეთში, იხილა იქ ქართული მწიგნოგრობის გაპარტახებული კერები. ნიკოლაოზმა დალუპვას გადაარჩინა ხუთი უბრწყინვალესი ხელნაწერი: სახარება-ოთხთავი,მრავალთავი, ხელთკანონი მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაი. ამათგან ოთხი წიგნი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში. ერთი - ადიშის ოთხთავი მესტიის მხარეთმცო-დნეობის მუზეუმში.

ელენე მეტრეველი აღნიშნავს,რომ ადიშის სახარების ფურცლებზე ჯუმათელის მინაწერი იმავე ხელითაა შესრულებული, რომლითაც გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ უძველესი ნუსხა,ე.ი. ამ ნუსხის გადამწერი ნიკოლაოზ ჯუმათელია (ლევან ძნელაძე).

როგორც ჩანს , ეს ოთხთავი გურიაში დიდხანს არ დარჩენილა და უკვე მეთე-ქვსმეტე საუკუნეში აუტანიათ სვანეთში, ვინ წაიღო იგი სვანეთში და რატომ , ეს ცნობილი არაა,მაგრამ არშიებზე გაკეთებულუ გვიანდელი (დაახლოებით XVI-XVII საუკუნეთა) მიაწერები აშკარად გვიჩვენებს, რომ წიგნი ამ დროს უკვე სვანეთშია. ხელნაწერი წიგნი, რომელიც მე-9 საუკუნის ბოლოს შატბერდში დაიწერა, დაახლოებით 700 წლის შემდეგ იქიდან გადმოტანილი გურიის გავლით, სვანეთში მოხვდა და 400 წლის განმავლობაში იქ პატარა სოფელ ჰადიშში ინახებოდა.

(გაგრძელება იქნება)

მანანა ლომაძე
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების



შემოქმედელ მიტროპოლიტს - მეუფე იოსებს!
მეუფე, გილოცავთ 17 სექტემბერს – თქვენი დაბადების დღეს,
დაბადებიდან 60 წლის იუბილეს!!!
გისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას, მოთმინებას, ამტანობას,
რის გარეშეც შეუძლებელია ქრისტიანული ღვაწლი.
თქვენი ქადაგებები, თქვენი არაჩვეულებრივი, მე ვიტყოდი,
შეუდარებელი გალობა ღვთისადმი, რომელიც ასე ათბობს გულს,
ხსნის გზას და გვაახლოებს უფალთან, დიდხანს ისმოდეს ჩვენი
ეპარქიის ტაძრებში.
პატივისცემით,
ოლიკო კობალავა- ჩხაიძე.

# სკანვორდი




## № 29-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ერიხ მარია რემარკი; დედად მიღებული – დედობილი; დიახ – კი; მამაკაცის სახელი – ესე; მთის ერთ-ერთი სისტემა – კორდილიერები; თხელი წყალი მდინარეში – ფონი; ქალაქი რაჭაში – ონი; რძის ნაწარმი – მაწონი; ცხოველური ცხიმი – ქონი; გიჟი – შეშლილი; მერკური-3-ის კოსმონავტი – შეპარდი; ნადირობის ქალღმერთი – დალი; მხარე უკრაინაში – ხერსონი; მუსიკალური ინსტრუმენტი – საქსაფონი; დრამატურგიული ჟანრი – დრამა; სხვის ბუდეში კვერცხის მდებელი – გუგული; ერთგვარი დოლი - დაირა; დასახლებული პუნქტი – სოფელი; ჩაპლინის მეუღლე – უნა; ოლია მოფერებით – ოლი; სომხეთის დედაქალაქი – ერევანი; ნაგვის ასაღები ნიჩაბი – აქანდაზი; მიმოქცევიდან ჭარბი ფულის ამოღება – დეფლაცია; სევდა – დარდი; სიგრძის საზომი ერთეული – იარდი; დედა აჭარულად – ნენე; ეშხი – შარმი; სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი – სეფეწული; მაცალკევებელი კავშირი – ან; ილეთი ჭიდაობაში – სარმა; სწორი ხაზი – წირი; ჟამი – დრო; მე-9 ასო – I; მაიმუნი – ყაფუზუნა; მამითადი – ნადი; მუსიკალური ინსტრუმენტი – არფა.



გილოცავთ სექტემბრის ულამაზეს დღეს- ცოდნის დღესასწაულს. მინდა გისურვოთ წარმატებები ცოდნის ურთულეს ბილიკებზე. ჯანსაღი ცხოვრებით გეცხოვროთ, უეკლო გზებით გევლოთ. უფალი იყოს თქვენი მეგზური! მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი წარმატების საიდუმლო თქვენს ხელშია!

**ლელა საჯაია,**
საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტი, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვის და სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დ



საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, სკოლის მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, აღმზრდელებს, პედაგოგებს, ლექტორებს, განათლების დარგის შემოქმედებით და ტექნიკურ მუშაკებს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. პატივისცემით,

**მაკა ჭყონია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი.

დ



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებს და პედაგოგებს, სტუდენტებს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს. ვუსურვებ, მიიღოთ საუკეთესო ცოდნა და ჰქონოდეთ ცხოვრების ულამაზესი წლები.

**მარი ჩხიკვიშვილი.**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე

დ



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ სოფელ გურიანთის და ციხისფერდის სკოლების მოსწავლეებს და მათ მშობლებს, პედაგოგებს

მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისათვის წარმატებული იქნება.

**მაია ზოიძე**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. გურიანთა

დ

## დარბაზი „თამარიონი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



რ

## საბანკეტო დარბაზი „ელეგანტი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!




რ

## შპს „გზამშენი 18" გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



რ




## სუპერმარკეტი „ნატალი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

რ

## შპს „როიალ გაზი" გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!




რ

KAIZENI
Building Company

სამშენებლო კომპანია „კაიზენი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გურიის ქუჩა №5.

კაიზენი
სამშენებლო კომპანია

რ